კითხვა უპასუხოდ დარჩა

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი.; 23 მაისი.

“დინამო” (თბილისი) – “შახტიორი” (დონეცკი) 1:1 (1:1).

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩგაშვილი, მუჯირი, კოპალეიშვილი, მ. მაჩაიძე, ქორიძე (მინაშვილი), ჩელებაძე, ყიფიანი, შენგელია.

“შახტიორი”: ვიაჩ. ჩანოვი, იარემჩენკო, გორბუნოვი, კონდრატოვი, პიანიხი, სოკოლოვსკი (დუდინსკი), როგოვსკი (ფედორენკო), რუდაკოვი, სტარუხინი, ლატიში, საფონოვი.

მსაჯი: მ. ჩერდანცევი (ალმა–ათა).

გოლები გაიტანეს ყიფიანმა (21–ე წ.) და ლატიშმა (31–ე წ.).

გარეგნულად ეს მატჩი საგრძნობლად განსხვავდებოდა წინა, “ნეფთჩისთან” ნათამაშევი მატჩისაგან. “დინამო” მეტი მონდომებით თამაშობდა, ბევრად უკეთ გამოიყურებოდნენ ცალკეული ფეხბურთელებიც, იყო კომბინაციები და როგორც ყველაფერი ამის შედეგი “შახტიორის” კარს გამუდმებით გოლის საფრთხე ემუქრებოდა.

ეს ყველაფერი მართლაც ასე იყო, “დინამომ” გაცილებით უკეთ ითამაშა, მეტოქეთა თამაშის კლასს შორის სხვაობაც თითქოს გუშინწინდელ მატჩში უფრო საგრძნობი იყო, და მაინც, იმის თქმა, რომ ფორტუნამ ამ ორ შეხვედრაში უსამართლოდ გაანაწილა ქულები (პირველში – ორი, მეორეში – მხოლოდ ერთი) სწორი არ იქნებოდა.

“შახტიორთან” მატჩი გარეგნული განსხვავების მიუხედავად, იმის მიუხედავად, რომ სანახაობრივად ბევრად მომგებიანად გამოიყურებოდა, საფეხბურთო ლოგიკის თვალსაზრისით წინა შეხვედრის გაგრძელება, შეიძლება ითქვას, ასლიც კი გამოდგა.

მას შემდეგ, რაც დონეცკელებმა წონასწორობა აღადგინეს, თბილისელებს საკმაოზე მეტი დრო დარჩათ იმისთვის, რომ კიდევ ერთი ბურთი მაინც გაეტანათ. გამარჯვების ეს გოლი პირველი ტაიმის ბოლოს და მეორე ტაიმის თითქმის ოცდაათი წუთის განმავლობაში არც თუ საეგებო ჩანდა. და სწორედ მაშინ, როცა უკრაინელთა დაცვას ბზარიც დაეტყო, როცა “დინამოს” ხანგრძლივი იერიშის შემდეგ “შახტიორი” სადაც არის უნდა გატეხილიყო კიდეც, თბილისელებს აღარ აღმოაჩნდათ საიმისო ძალა, რათა ეს პროცესი დაეჩქარებინათ და ბოლოს ლოგიკურ დასასრულამდეც მიეყვანათ. “დინამოს” ნახევარდაცვა, უბრალოდ, დაიღალა. მეშახტეებმა, რომლებსაც ამ ზონაში გამუდმებით ჰყავდათ ოთხი ფეხბურთელი, ერთი შეცვალეს, ერთსაც თავდასხმიდან მოუხმეს და ყველაფერი იღონეს იმისთვის, რომ მასპინძელთა ისედაც ძალაგამოლეული იერიშები მინდვრის შუაგულშივე ჩამცხრალიყო.

იმის წანამძღვრები, რომ “შახტიორთან” ძალზე გაძნელდებოდა მოგება, უკვე მატჩის წინ არსებობდა. ტრავმირებულ დარასელიას ჩივაძეც მიემატა. თქმა არ უნდა, კარგად ითამაშა კოპალეიშვილმა, მაგრამ ნახევარდაცვაში კარგა ხანია გაჩენილ ხარვეზს ამით მაინც ვერ ეშველა, იმოქმედა გუცაევის არყოფნამაც. მაგრამ ისევ და ისევ უნდა დავუბრუნდეთ იმ აზრს, რომ სამი წმინდა ნახევარმცველით თამაში, ყოველ შემთხვევაში დღეს მაინც, “დინამოს” ძალზე უჭირს.

ყველას კარგად ახსოვს შარშან თბილისში ცსკა–სთან ნათამაშევი მატჩი – 0:2 პირველ ტაიმში, და 2:0 – მეორეში. საინტერესოა, რომ ორი ბურთის გატანა მაშინ შეძლეს თბილისელებმა, როცა ნახევარდაცვის შტატი ერთი ფეხბურთელით

გაზარდეს, ამით იმის თქმა მინდა, რომ ფორვარდების რაოდენობა სრულებითაც არ არის გატანილი გოლების პირდაპირპროპორციული. თუნდაც ბოლო ორი მატჩის მაგალითი: ორად–ორი ბურთი, თანაც, ორივე – პენალტით.

ეს ყველაფერი ისევ და ისევ ყიფიანის, ასე ვთქვათ, მის ამპლუას გარშემო ტრიალებს. ბუნებრივია, დავითის მხოლოდ ფორვარდის ფუნქციებით შეზღუდვა საგრძნობლად შეამცირებს მინდვრის შუაგულიდან მოულოდნელ, მეტოქისთვის ერთობ უსიამო გადაცემებს, მაგრამ…

საფიქრელია, რომ გუნდის მწვრთნელებსაც სწორედ ეს “მაგრამ” აფიქრებს, მისი სიკეთე და სიავე.

ყოველ შემთხვევაში “ნეფთჩისთან” საკმაოდ ხელშესახებად წარმოჩენილ კითხვას ჯერჯერობით ვერც “შახტიორთან” მატჩმა გასცა პასუხი.

ი. ბერიაშვილი.
“ლელო”, 25 მაისი, 1978 წ.